ევროკომისიის თემატური პროგრამა „გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება - ენერგეტიკის საკითხების ჩათვლით”

კლიმატის ცვლილება და ტყის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში

ტრენინგის სახელმძღვანელო

ერთდღიანი ტრენინგი სატყეო და მომიჯნავე დარგის სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირებისთვის

ორენოვანი ვერსია
საქართველოს პირობებისთვის

რეგიონალური პროექტი (DCI-ENV/2010/221391)
კლიმატის ცვლილების პირობებში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

პროექტის განმახორციელებელი
პარტნიორი - ბუნების დაცვის
მსოფლიო ფონდი (WWF)

შინაარსი

1 შესავალი და მიზნები 4
2 მეთოდები 5
3 აუდიტორიის „მოთელვა“ 6
4 კლიმატის ცვლილება და ტყეები 7
4.1 ამინდი და კლიმატი 7
4.2 გაეროს რეაგირება კლიმატის ცვლილებაზე 8
4.1 კლიმატი და ტყეები 9
4.2 კლიმატის ცვლილება კავკასიაში 10
5 ევროპული მაგალითები - ადაპტაცია კლიმატის ცვლილებისადმი 12
5.1 მაგალითი I – სტიქიური უბედურებები ტყეში გერმანიის ფედერალურ მხარე ბადენ-ვურტემბერგში 12
5.1.1 მაგალითის აღწერა. ბადენ-ვურტემბერგის სატყეო სექტორი 1980- 2000 წ.წ. 12
5.1.2 მაგალითის განხილვა - ინტერაქტიური ნაწილი: ბრეინსტორმინგი გამოსავალის საძიებლად 14
5.1.3 მაგალითის განხილვა: როგორ მოიქცა ბადენ-ვურტემბერგი? .. 14
6 ტყეები კავკასიაში საწყისი სიტუაცია - კლიმატის ზემოქმედება 17
6.1 მოსალოდნელი ზემოქმედება ტყის ეკოსისტემებზე 17
6.2 მაგალითები სამხრეთ კავკასიაში: WWF -ის სატრანსფორმაციო უბნები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში 19
6.2.1საპილოტე ნაკვეთის მოწყობა 21
6.2.2მაგალითები განხორციელების ღონისძიებების გასატარებლად 22
6.2.3მიღებული გამოცდილება ქვეყნების მიხედვით 24
ტრანსფორმაცია ურბანული და სოფლის თემების მახლობლად 25
6.3 რამდენად მდგრადია/ სტაბილურია კორომი? 27
6.4 ინვენტარიზაცია - როგორია მდგომარეობა და როგორია პერსპექტიცა 27
6.5 კლიმატის ცვლილების შეტანა მართვის გეგმაში 28
6.6 (ტრანს-)ფორმაცია მდგრად კორომებად 31
6.7 ალტერნატიული რესურსების შეთავაზება ადგილობრივი თემებისთვის 31
7 რეკომენდაცია 32
8 პერსპექტივა 33
9 დანართი - დასარიგებელი მასალა 34
9.1 საწყისი კითხვარი 34
9.2 მაგალითი I – სტიქიური უბედურებები ტყეში გერმანიის ფედერალურ მხარე ბადენ-ვურტემბერგში 35
9.2.1 მაგალითის აღწერა. ბადენ-ვურტემბერგის სატყეო სექტორი 1980- 2000 წ.წ. 35
9.2.2 მაგალითის განხილვა - ინტერაქტიური ნაწილი: ბრეინსტორმინგი გამოსავალის საძიებლად 37

აბრევიატურები

AFC – ფაქტიური ტყის საფარი
CBD – ბიომრავალფეროვნების კონვენცია
GIS – გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა
GHG – სათბურის გაზი
IPCC – სამთავრობათაშორისო საბჭო კლიმატის ცვლილების საკითხებზე
MCM – მილიონი კუბური მეტრი
MLR – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბადენ-ვურტემბერგის ფედერალური მხარის გარემოსა და კლიმატის დაცვის სამინისტრო და ენერგეტიკის სექტორი
PFC – პოტენციური ტყის საფარი
UNFCC – გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ
UNEP – გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა
WMO – მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია
WWF – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

1 შესავალი და მიზნები

როგორც ევროკავშირის პროექტის „სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კლიმატის ცვლილების პირობებში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება ტყის ტრანსფორმაციის გზით“ ნაწილი, შეთავაზებულ უნდა იქნას ერთდღიანი ტრენინგის მოდული სატყეო და მომიჯნავე დარგის სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირებისთვის . ტრენინგი პირველად წარმოდგენას შეუქმნის მონაწილეებს ამ თემაზე, მისცემს რა მათ თეორიული ცოდნის საფუძველს კლიმატის ცვლილებაზე, გადავა სხვა ქვეყნებში განხორციელებულ ცვლილებებზე კონკრეტული მაგალითების მოყვანით და ბოლო, სადისკუსიო ნაწილი მიეძღვნება რეგიონისთვის ადგილობრივი, კონკრეტული შემდგომი ნაბიჯების შემუშავებას.

მოდული ილუსტრირებას გაუკეთებს გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, რომლებიც მოსდევს კლიმატის ცვლილებას, როგორც აღწერილია პროექტის თეორიული კვლევის ანგარიშში სამხრეთ კავკასიის რეგიონის სატყეო სექტორისთვის. მონაწილეებს საშუალება მიეცემათ გააანალიზონ სიტუაცია და შეიმუშავონ მექანიზმი ტყის სექტორში კლიმატის ცვლილებით განპირობებული მომავალი გამოწვევებისადმი ადაპტაციისთვის.

თავად სახელმძღვანელოს მიზანია სათანადო ინსტრუმენტების მიცემა ტყის ადაპტაციური მენეჯმენტისთვის და ტყის ტრანსფორმაციისთვის, ერთი მხრივ, და გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებისთვის - მეორე მხრივ. სტრატეგიებისა და სატყეო მეურნეობის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება კლიმატური ცვლილებებისადმი ადაპტაციისთვის იქნება სხვა პუბლიკაციის ნაწილი ამავე პროექტის ფარგლებში .

---

[1] კონკრეტული, ლოკალურად კონცენტრირებული სამი ერთდღიანი ტრენინგი 2014 წლის თებერვალში ჩატარდება პროექტის მონაწილე სამ ქვეყანაში - სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში.

[2] გარფორტი, მ. 2012 წ. ტყის ადაპტაცია კლიმატის ცვლილებისადმი - თეორიული კვლევის ანგარიში კლიმატის ცვლილებისადმი ტყის მდგრადობის ამაღლებისა და ტრანსფორმაციის ღონისძიებების საკითხებზე. მ. ძნელაძე (რედაქტორი). ანგარიში მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტისთვის DCI-ENV/2010/221391. WWF-ის კავკასიის ოფისი, თბილისი

[3] გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში WWF-ის მიერ – ავტორი მ. გარფორტი, საერთაშორისო ექსპერტი სატყეო დარგში.

2 მეთოდები

ტრენინგის მოდული შედგება ხუთი ძირითადი თემისგან, როგორებიც არის:
ა) შესავალი
ბ) გლობალური სიტუაცია
გ) ევროპის რეაგირება
დ) კავკასიაში ამჯამად არსებული სიტუაცია
ე) განხორციელების ვარიანტები კავკასიაში

ეს თემები დაყოფილია ოთხ ძირითად ნაწილად:

1. ტრენინგი უნდა დაიწყოს იმ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც ასახავს აუდიტორიის თვალსაზრისს კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში. ამას მოჰყვება კლიმატის ცვლილების ფარგლების მოკლე აღწერა მსოფლიოს, ევროპის მასშტაბით - დაბოლოს, კონკრეტულად კავკასიის რეგიონში და განსაკუთრებით ტყეებზე მისი ზემოქმედების კუთხით.

2. ტრენინგის სავარჯიშოები
ეს სემინარის ძირითადი ნაწილია. მონაწილეებს ასწავლიან მათ რეგიონში კლიმატის მიმდინარე ცვლილებიდან გამომდინარე პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეების იდენტიფიცირებას. იგი მიმართული უნდა იყოს ტყის მენეჯმენტის მათ სფეროში ძალიან ზუსტი მაგალითებისკენ.

3. ევროპაში არსებული კონკრეტული მაგალითების განხილვა.
მონაწილეებს გააცნობენ შიგნიდან დანახულ სურათს - თუ როგორ შეიმუშავეს პოლიტიკა და სტანდარტული პროცედურები ამ კატეგორიის რისკთან საბრძოლველად სხვა ქვეყნებმა, როგორიცაა გერმანია, მოწინავე პრაქტიკის მაგალითების და კონკრეტული შემთხვევების განხილვით.

4. პერსპექტივა და დასკვნითი დებატები
ამ დაკვნით ეტაპზე მონაწილეებს შესთავაზებენ ბრეინსტორმინგს იმასთან დაკავშირებით, თუ რას თვლიან საჭიროდ სამომავლოდ. შემდეგი ნაბიჯები შემუშავდება ერთად, რათა მოხდეს სატყეო მეურნეობაში რისკის მენეჯმენტის სისტემების დანერგვა ან გაუმჯობესება.

3 აუდიტორიის „მოთელვა“

ტრენინგის დასაწყებად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამოსავალი წერტილის განსაზღვრას. ეს მიზანად ისახავს:

- აუდიტორიის ცოდნის გაგებას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- ხელს უწყობს ამ გაგების განვითარების შეფასებას;
- ტრენინგის მასალების ადაპტაციას სხვა სესიებისთვის

სლაიდების პრეზენტაცია - ოფიციალური წარდგენის შემდეგ - მოახდენს თვალში საცემი ისეთი კითხვის პროვოცირებას, როგორიცაა:

როგორ ფიქრობთ - არსებობს თუ არა კლიმატის ცვლილება - თუ ეს უბრალოდ მეცნიერებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გამონაგონია დაფინანსების მიღების იმედით?

ამის თაობაზე მოკლე დისკუსიის შემდეგ ტრენერი სთხოვს აუდიტორიას შეავსონ მოკლე კითხვარი (ცოდნა და მოსაზრებები კლიმატის ცვლილების შედეგებთან დაკავშირებით - იხ. 9.1).

4 კლიმატის ცვლილება და ტყეები

4.1 ამინდი და კლიმატი

„კლიმატის“ განმარტებისთვის მნიშვნელოვანია განვასხვავოთ იგი „ამინდისგან“. ამინდი, რომელიც ყოველდღიურად გვაქვს, არის ატმოსფეროს მომენტალური მდგომარეობა, რომელიც ხაისათდება ტემპერატურით, ნალექებით, ქარით და ა.შ. იგი იცვლება არაკანონზომიერად, არ მიჰყვება დადგენილ მოდელს. ხანგრძლივი პერიოდის გადმოსახედიდან ამინდი ციკლურად იცვლება გლობალური, რეგიონალური ან ადგილობრივი მასშტაბით. ამას უწოდებენ კლიმატს. ამინდით აღწერილი მომენტალური პირობებისგან განსხვავებით, კლიმატი აღიწერება საშუალო მნიშვნელობებით (მაგ. საშუალო წლიური ან საშუალო ტემპერატურა), თუმცა მისთვისაც დამახასიათებელია ცვალებადობა (მაგ. სეზონური მაქსიმალური/ მინიმალური ტემპერატურა) და უკიდურესობების სიხშირე (მუსონები/ ქარიშხლები/ ციკლონები). დროის პერიოდი, რომლისთვისაც ხდება კლიმატის სტატისტიკური მონაცემების გაანგარიშება, ჩვეულებრივ, 30 წელს შეადგენს (მაგ. 1981 – 2010 წ.წ.).



ნახ. 1 - საშუალო გლობალური ზედაპირული ტემპერატურის ზრდა ~0,8°C (წყარო: ს. რამსტორფი 2008: 5 ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემთა ერთობა კლიმატოლოგიისთვის)

3 აუდიტორიის „მოთელვა“

ტრენინგის დასაწყებად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამოსავალი წერტილის განსაზღვრას. ეს მიზანად ისახავს:

- აუდიტორიის ცოდნის გაგებას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- ხელს უწყობს ამ გაგების განვითარების შეფასებას;
- ტრენინგის მასალების ადაპტაციას სხვა სესიებისთვის

სლაიდების პრეზენტაცია - ოფიციალური წარდგენის შემდეგ - მოახდენს თვალში საცემი ისეთი კითხვის პროვოცირებას, როგორიცაა:

როგორ ფიქრობთ - არსებობს თუ არა კლიმატის ცვლილება - თუ ეს უბრალოდ მეცნიერებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გამონაგონია დაფინანსების მიღების იმედით?

ამის თაობაზე მოკლე დისკუსიის შემდეგ ტრენერი სთხოვს აუდიტორიას შეავსონ მოკლე კითხვარი (ცოდნა და მოსაზრებები კლიმატის ცვლილების შედეგებთან დაკავშირებით - იხ. 9.1).

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებამ და მასთან დაკავშირებულმა საწვავის წვის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა ე.წ. სათბურის გაზების gases (CO2, CH4, N2O, და ა.შ.) მოცულობა. ამას ეწოდება ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილება. სათბურის გაზებმა განაპირობა ტემპერატურის აშკარა მატება - რაც სიჩქარით დიდად განსხვავდება ადრე არსებული ცხელი და ცივი პერიოდებისგან.



ნახ. 1 ადამიანის ზემოქმედება ატმოსფეროზე ინდუსტრიულ ეპოქაში (წყარო: IPCC 2001, შედგენილია მ. პრატერის მიერ)

4.2 გაეროს რეაგირება კლიმატის ცვლილებაზე

როგორც ნათქვამია IPCC-ვებ-გვერდზე : სამთავრობათაშორისო საბჭო კლიმატის ცვლილების საკითხებზე (IPCC) წამყვანი საერთაშორისო ორგანო კლიმატის ცვლილების შეფასების საქმეში. იგი შეიქმნა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) და მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციას მიერ 1988 წ. რათა მსოფლიოს მიაწოდოს მკაფიო მეცნიერული ინფორმაცია კლიმატის ცვლილებასთან და მის პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ- ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებით. იმავე წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა WMO-სა UNEP-ის მიერ IP-CC-ის ერთობლივად დაარსება. იგი განიხილავს და შეაფასებს უახლეს სამეცნიერო, ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ინფორმაციას მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც რელევანტურია კლიმა,ტის ცვლილების გააზრებისთვის. იგი არ აწარმოებს არც კვლევებს და არც კლიმატთან დაკავშირებული მონაცემებისა და პარამეტრების მონიტორინგს.

ნახ. 2 IPCCის შემადგენლობა 1988 წ. (PanForestal-ის ილუსტრაცია)

IPCC-ის მუშაობაში მოხალისეობრივ საფუძველზე წვლილი შეაქვს ათასობით მეცნიერს მთელი მსოფლიოდან. IPCC პროცესის არსებით ნაწილს შეადგენს მიმოხილვა, რაც საჭიროა მიზნის [მიღწევისა] და მიმდინარე ინფორმაციის სრული შეფასების უზრუნველსაყოფად. IPCC-ის მიზანია მოსაზრებებისა და ცოდნა-გამოცდილების ასახვა. სამდივნო ახდენს IPCC მუშაობის სრულ კოორდინაციას და თანამშრომლობს მთავრობებთან. მას აფინანსებს WMO და UNEP და განლაგებულია ჟენევაში, WMO-ს შტაბ-ბინაში.

4.1 კლიმატი და ტყეები

კლიმატის ცვლილება, რა თქმა უნდა, მოქმედებს ტყეებზე. კლიმატის ცვლილება რამდენიმე ასპექტში ახდენს ზემოქმედებას ტყეებზე, მაგ. აღინიშნება ხის ჯიშების შემადგენლობის [შეცვლა], ბიომრავალფეროვნების შემცირება, სტიქიური უბედურებების მატება; ბევრგან უპირატესობა ენიჭება ხის სიცხეგამძლე ჯიშებს. ზოგ რაიონებში დატბორვა და ეროზია ზრდიან ტყეების ეკოსისტემების სერვისებს, როგორიცაა სასმელი წყლით უზრუნველყოფა; შემცირდება არა-მერქნული რესურსები, ნეგატიური ზემოქმედება ჰაერის გაწმენდის უნარზე მცირდება. ეს ყველაფერი იწვევს მაღალი ტყეების შემცირებას, მაშინ როდესაც მოიმატებს ბუჩქნარი და გაუდაბნოება.



ნახ. 3 კლიმატის ცვლილების პირდაპირი ზემოქმედება ტყეებზე (PanForestal 2014 წ., ადაპტირებულია FAO 2012 -დან)



4.2 კლიმატის ცვლილება კავკასიაში

ბოლო ათწლეულმა სამხრეთ კავკასიაში ტემპერატურის მატება მოიტანა (იხ. ნახ. 1)

UNFCC-ისადმი მე-2 ეროვნულ კომუნიკაციაში სამივე ქვეყანამ წარმოადგინა ნალექებისა და ტემპერატურის ცვლილების პროგნოზი შედეგების მოდელირების საფუძველზე. ყველა პროგნოზი იმაზე მიუთითებს, რომ ამ საუკუნის ბოლოსთვის მნიშვნელოვნად მოიმატებს საშუალო წლიური ტემპერატურა. Projections based on the A2 ემისიის სცენარის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზები იყო:

1.8 °C -5.2 °C და 3.5 °C -4.9 °C, შესაბამისად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში (იხ. ნახ. 2);

4 °C - 5.1 °C სომხეთში; და 3 °C -6 °C აზერბაიჯანში.

თუ ტემპერატურის პროგნოზები მკაფიო იყო, ნალექების პროგნოზებში იყო გარკვეული შეუსაბამობები (იხ. ნახ. 3) მიუხედავად იმისა, რომ არც მთლად ნათელია თუ ზუსტად როგორ იცვლება კლიმატი კავკასიის რეგიონში, აშკარაა, რომ ცვლილება მიმდინარეობს კაცობრიობისთვის აქამდე არნახული ტემპით.

ნახ. 4

ჰაერის ტემპერატურის ცვლილება 1935-2008 წ.წ. სომხეთში, 1936-2005 წ.წ. საქართველოში, 1960-2005 წ.წ. აზერბაიჯანში (წყარო: UNDP 2011 წ. , ENVSEC 2011 წ.)



ნახ. 5 ჰაერის საშუალო ტემპერატურის პროგნოზი
(წყარო: UNDP 2011 , ENVSEC 201)



ნახ. 6 ნალექების ცვლილების პროგნოზი
წყარო: UNDP 2011 , ENVSEC 201)

5 ევროპული მაგალითები - ადაპტაცია კლიმატის ცვლილებისადმი

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ქვეყანას აქვს სატყეო მეურნეობის საკუთარი ტრადიციები მათი სპეციფიკაციებით, კლიმატის ცვლილების ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება გლობალურია. ამგვარად, მაშინაც კი, თუ ყოველი ქვეყნის საცხოვრებელი პირობები, ღირებულებები და ისტორია უნიკალურია, მნიშვნელოვანია სხვა რეგიონების გამოცდილების გაზიარება ამ მოვლენის შედეგებთან გამკლავებასთან დაკავშირებით.

5.1 მაგალითი I – სტიქიური უბედურებები ტყეში გერმანიის ფედერალურ მხარე ბადენ-ვურტემბერგში

გერმანიის კონსტიტუცია ფედერალურ მხარეებს სუვერენულობას ანიჭებს სატყეო კანონმდებლობასთან მიმართებაში - რამდენადაც ისინი რჩებიან ფედერალური სატყეო აქტის ჩარჩოებში. ასე რომ ყოველ ფედერალურ შატს ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი მიწის სატყეო აქტი, რომელზე ორიენტირებულიც უნდა იყოს ტყის მესაკუთრეების მიერ მენეჯმენტი და სატყეო პოლიტიკა.

5.1.1 მაგალითის აღწერა. ბადენ-ვურტემბერგის სატყეო სექტორი 1980- 2000 წ.წ.

ამ მაგალითის განხილვაში აქცენტი გაკეთებულია ბადენ-ვერტემბერგის ფედერალურ მხარეზე, რომელმაც ძალიან პროგრესულად შეცვალა საკუთარი სატყეო პოლიტიკა ბოლო 25 წლის განმავლობაში.

1980 წელს გერმანიის სატყეო სექტორს სულ უფრო და უფრო მეტი უბედურება დაატყდა თავს. 1980-იან წლებში. მჟავა წვიმების შედეგად (რომლებიც გამოწვეული იყო ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურებით, ინტენსიური მეცხოველეობის ფერმებით და ტრანსპორტით) მთელი გერმანიის მასშტაბით ბევრ მაღალმთიან ტყეში განვითარდა “Waldsterben” (კენწეროების ხმობა). მიუხედავად იმისა, რომ SO2-ით ჰაერის დაბინძურება შემცირდა ფილტრებისა და კატალიზატორების გამოყენების გზით, დებატები გაგრძელდა და წარმოიშვა ჰიპოთეტური საზოგადოებრივი აზრი სატყეო სექტორის წინააღმდეგ. იმავდროულად, დაეცა ხე-ტყის მასალის ფასი, რადგან ხე-ტყის ბაზარი სულ უფრო და უფრო მეტად დაექვემდებარა ინტერნაციონალიზაციას. 1990-იანები დაიწყო უძლიერესი ქარიშხლებით - სახელად “Vivian & Wiebke” - რაც კი ოდესმე განუცდია სექტორს. ქარიშხლიან წლებს მოჰყვა მწერების შემოსევა (უმეტესად Ips typographus), რომლებიც ადვილად ვრცელდებოდნენ დაზიანებულ მონოკულტურულ კორომებში. მოყვანილი ნახაზი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ:

- მიუხედავად იმისა, რომ ნაზვის წილი სულ რაღაც 45% შეადგენდა, მისი ქარქცეულის წილი გაცილებით მაღალი იყო (63%)
- ყველა დანარჩენი ხის ჯიში ტყის კორომებში მათ წილობრივ შემადგენლობაზე ნაკლებად იყო დაზიანებული.



Tree Species distribution before storms



Tree Species share of wind throw

ნახ. 7 მარცხნივ - ჯიშების დანაწილება ქარიშხლამდე - მარჯვნივ ხეების ჯიშების წილი ქარქცეულში (წყარო: MLR 2008, შედგენილია PanForestal-ის მიერ 2013 წ.)

ქვემოთ მოყვანილი ნახაზი გვიჩვენებს „შემთხვევითი ჭრის“ (რაც სტიქიური უბედურებით გამოწვეულს ნიშნავს) წილს მთლიან ჭრაში 1980-იანი წლების დასაწყისიდან. წითელი ისრები აღნიშნავს უკიდურეს კლიმატურ მოვლენებს, როგორიცაა ქარიშხლები და სიცხის უჩვეულო ტალღა 2003 წ.



ნახ. 8 „შემთხვევითი ჭრის“ წილი მთლიან ჭრაში (წყარო: დელბი და სხვ, 2013 წ., მოდიფიცირებული PanForestal-ის მიერ 2014 წ.)

ამ მაგალითის შეჯამება - ბადენ-ვერტემბერგის სატყეო სექტორი იდგა შემდეგი ფაქტორების წინაშე:

• გარემოსდაცვითი ჩარჩოები:
  – მჟავური წვიმა (ინტენსიური მეცხოველეობის ფერმებისა და ტრანსპორტის გამო) რაც იწვევდა ნიადაგის გამჟავიანებას და შემდგომ ტყეში კენწეროების ხმობას
  – ქარიშხლები Vivien & Wiebke (1990 წ. –15 MCM (მილიონი კუბური მეტრი) – Lothar (1999 წ. – 29 MCM ქარქცეული)
  – შედარებით მშრალი ზაფხულების პირობებში და ქარიშხლების შემდეგ სულ უფრო და უფრო მეტი Picea Abies – კორომები სერიოზულად დააზიანა მერქნიჭამიებმა
• სოციალ-ეკონომიკური ჩარჩოები
  – „Waldsterben“ (კენწეროების ხმობა ტყეში) - დებატები 1980-იანი წლების დასაწყისში, რაც ქმნიდა ჰიპოთეტურ საზოგადოებრივ აზრს სატყეო სექტორის წინააღმდეგ;
  – 1980-იანი წლებიდან ხის ფასი მცირდებოდა - შრომის ფასი მატულობდა - და სატყეო სექტორი მომგებიანად აღარ მუშაობდა
• კლიმატი
  – ნაკლები მთლიანი ნალექები
  – უფრო მძიმე ნალექები
  – მეტი ქარიშხლები
  – ტემპერატურის მატება

5.1.2 მაგალითის განხილვა - ინტერაქტიური ნაწილი: ბრეინსტორმინგი გამოსავალის საძიებლად

ინტერაქტიური ნაწილი:
შემდეგ 60 წუთში აუდიტორიამ უნდა:
• ჩამოაყალიბოს 4-6 კაციანი ჯგუფები;
• განიხილოს სატყეო სექტორის მაგალითი შემდეგი კითხვების გათვალისწინებით (20 წთ./ჯგ.):
  o რა ქმედებებია პრიორიტეტული?
  o როგორი რეაგირება უნდა მოახდინოს ადმინისტრაციამ მზარდ სტიქიურ უბედურებებზე?
• გააკეთოს მოკლე პრეზენტაცია (10 წთ./ჯგ.);
• განიხილოს პრეზენტაცია (5 წთ./ პრეზენტაცია).

5.1.3 მაგალითის განხილვა: როგორ მოიქცა ბადენ-ვურტემბერგი?

სატყეო ადმინისტრაციას სამინისტროს დონეზე მოუხდა იმის აღიარება, რომ პირველ რიგში პრობლემა შექმნა ნაძვნარებისთვის - როგორც „მეწველი ძროხისთვის“ ურპირატესობის მინიჭებამ. მეცნიერების დახმარებით მოხდა ბადენ-ვურტემბერგის ბუნებრივი ხის ჯიშების რეკაპიტულაცია და შემუშავდა ახალი სახელმძღვანელო

პრინციპი: ტყის ეკოსისტემების (ტყის ტიპების) ბუნებრივ პირობებთან მაქსიმალური მიახლოება, რაც ნიშნავდა:

- პოტენციური ბუნებრივი ტყის ტიპების იდენტიფიცირება (ამჟამად უწოდებენ პოტენციურ ტყის საფარს - PFC) vs. ტყის ფაქტიური საფარის ნაცვლად (AFC);
- სახელმწიფო ტყეებში გადაიდგას ნაბიჯები PFC -სკენ;
- მეტი „ბიოლოგიური ავტონომია“ - რაც ნიშნავს ნაკლებ რგვას და გამოხშირვას და მეტ ბუნებრივ რეგენერაციას;
- კერძო საკუთრებაში მყოფ ტყეებში - წახალისების დაწესება ბუნებასთან მეტად მიახლოებული სისტემების გაშენებისთვის.

ქვემოთ მოყვანილი სქემა გვიჩვენებს სატყეო ადმინისტრაციის მიერ ხის ჯიშების ისტორიულ და მიზნად დასახულ დანაწილებას.



ნახ 9 ხის ჯიშების ისტორიული დანაწილება ბადენ-ვურტემბერგში (წყარო: MLR, 2008, შესაბამისობაში მოყვანილია PanForestal-ის მიერ)

1990-იანი წლების დასაწყისში ბადენ-ვურტენბერგმა კონკრეტულად ჩამოაყალიბა ახალი სახელმძღვანელო პრინციპები ე.წ. 19 WET-ით (ტყის გაშენების ტიპები). ისინი ეხმარება მეტყევეებს არასტაბილური მონოკულტურული/ წიწვოვანი კორომების ბუნებასთან უფრო მიახლოებულ კორომებად გარდაქმნაში. ტყის გაშენების ტიპები განსაზღვრავს არსებულ სიტუაციას და აღწერს ხედვას /მიზანს კორომისთვის, ხის ჯიშების წილების საფუძველზე, მაგ.:

- არასტაბილური ნაძვი, მიზანი - წიფელნარევი კორომი, წიფელი 40 – 70% სხვა ფოთლოვანი 20 - 40% სხვა წიწვოვანი 0 – 30%
- ფიჭვი, მიზანი წიფლისა და წიწვოვანების შერეული კორომი, წიფელი 30 – 80% სხვა ფოთლოვანები 0 – 30% ფიჭვი (წიწვოვანი) 10 – 40%.

ეს WET-ები ეფუძნება ფაქტიურ კორომ-ფაქტორებს (მაგ. ნიადაგის ტიპი/ სტრუქტურა, ფაქტიური/ პოტენციური ტყის საფარი და ა.შ.), რომლებიც სისტემატურ მონიტორინგს

ექვემდებარება 10 წლის განმავლობაში და შემდეგ საბოლოო სახით ყალიბდება ტყის მართვის დაგეგმვაში. ნამდვილად ადაპტაციური ტყის მართვის (AFM) თვალსაზრისით, WET-ები განუწყვეტილვ რევიზიის ქვეშაა, რადგან ტყისა და კლიმატის მეცნიერული შესწავლა ახალ ფაქტორებს უმატებს, ხოლო საზოგადოების მოთხოვნები იცვლება.
2006 – 2010 წ.წ. ყოველი ტყის უბნისთვის, ძირითადი ჯიშებისთვის - ნაძვი, წიფელი, მუხა - შემუშავდა დაგეგმვის ახალი ინსტრუმენტი - პოტენციური სამომავლო ხის ნარგაობების [გავრცელების] რუქების შედგენა . ეს, რომ კლიმატის ცვლილება ზემოქმედებას ახდენს ეკოსისტემებზე, ძალიან მნიშვნელოვანია ხეებისთვის, რადგან მათ წლები სჭირდებათ სიმწიფის ასაკის მისაღწევად, და მათი ზრდის კანონზომიერებების გათვალიწინებით, ისინი განსაკუთრებით მოწყლვადები არიან კლიმატური პირობების სწრაფ ცვლილებთან მიმართებაში.



ნახ. 10 პოტენციური სამომავლი ხის ნარგაობების დატანა რუქაზე - მაგალითი
(წყარო: ჰანევინკელი 2010 წ. – PanForestal-ის ნახაზი 2013 წ.)

სატყეო მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური აღიარებით, სატყეო ადმინისტრაციები ვალდებულები არიან გაითვალისწინონ ეს რუქები WET -ების და მართვის გეგმების შედგენის პროცესში.

შემდეგი მაგალითისთვის - მოძებნეთ მანფრედის პროექტი - MANFRED Project – სადაც ასეთი რუქები გამოიყენება ალპური რეგიონისთვის შესაბამისი კლიმატის ცვლილების ადაპტაციური მართვის შესამუშავებლად.

6 ტყეები კავკასიაში
საწყისი სიტუაცია - კლიმატის ზემოქმედება

კავკასიაში ამჟამად ტყეების მდგომარეობა ასეთია - როგორც 2011 წ. კვლევამ გვიჩვენა, პოტენციურად 9 მლნ ჰა ტყიანი ტერიტორიიდან მხოლოდ 4 მლნ ჰა დარჩა. აბსოლუტური და პროცენტული კარგვის მაჩვენებლები იცვლება ბიოკლიმატური რეგიონების მიხედვით - დაახლოებით 90% დაკარგულია სამხრეთის მაღალმთიან და მშრალ დაბლობ და მთაგრეხილიან რეგიონებში, 50 – 75% - აღმოსავლეთ კავკასიის, სამხრეთ მცირე კავკასიონისა და ჰირკანის რეგიონებში, ხოლო 42.91% - კოლხეთის რეგიონში.

6.1 მოსალოდნელი ზემოქმედება ტყის ეკოსისტემებზე

WWF -ის მიერ 2011 წ. ჩატარებულმა კვლევამ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა მასშტაბებით მოახდენს მიმდინარე კლიმატური ცვლილებები ზემოქმედებას 2080 წლისთვის. კვლევამ საორიეტნაციოდ აიღო ზემოთ აღნიშნული IPCC 2007 კლიმატური სცენარები, აქცენტით A2 და B2 სცენარებზე, რაც ნიშნავს:

A2 სცენარები არის უფრო დაყოფილი მსოფლიოსი. A2 ჯგუფის სცენარები ხასიათდება:
- დამოუკიდებლად მოქმედი, საკუთარი თავის იმედად მყოფი ქვეყნებით.
- გამუდმებით მზარდი მოსახლეობით.
- რეგიონებზე ორიეტირებული ეკონომიკური განვითარებით.

B2 სცენარები არის უფრო დაყოფილი მსოფლიოსი, ოღონდ უფრო ეკოლოგიურად მეგობრული. B2 სცენარები ხასიათდება:
- გამუდმებით მზარდი მოსახლეობით, ოღონდ უფრო ნელი ტემპებით, ვიდრე A2-ის შემთხვევაში.
- აქცენტით ადგილობრივ, და არა გლობალურ გადაწყვეტებზე ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სტაბილურობასთან მიმართებაში.
- ეკონომიკური განვითარების საშუალო დონეებით.
- უფრო სწრაფი და ნაკლებად ფრაგმენტირებული ტექნოლოგიური ცვლილებით ვიდრე A1-ისა და B1-ის შემთხვევაში. [xiii]

სამაგალითოდ ვიზუალიზირებულია რცხილას (Carpinus) გავრცელების დიაპაზონი დღეს და 2080 წ. მეტად და ნაკლებად ხელსაყრელი სცენარების პირობებში:

ნახ. 11 რცხილას ამჟამინდელი მოდელირებული გავრცელების არეალი (WWF 2011 წ.)

ნახ. 12 A2a (ეკონომიკური ზრდა) რცხილას მოდელირებული გავრცელების არეალი 2080 წ. (WWF 2011 წ.)

ნახ. 13 B2a (ეკოლოგიურად ჯანსაღი) რცხილას მოდელირებული გავრცელების არეალი 2080 წ. (WWF 2011 წ.)

როგორც ნაჩვენებია, ტყის ფორმაციების ბიოლოგიური კომპონენტები რეაგირებას მოახდენს კლიმატის ცვლილებაზე, როგორც ყოველთვის ხდებოდა: ზოგიერთი ფორმაციის ზოგიერთმა კომპონენტმა შეიძლება კარგად იგრძნოს თავი, ზოგიერთმა - უარესად; ზოგადად, ტყის ამჟამად არსებული ფორმაციებისთვის შესაფერისობის არეალი შეიცვლება. კვლევაში დამუშავებული მოდელების პროგნოზების თანახმად, სამხრეთ კავკასიაში პირობები ნაკლებად ხელსაყრელი გახდება ამ რეგიონში არსებული ტყის კლასების უმეტესობისთვის; საერთო ჯამში, შეიძლება მოხდეს AFM -ის (ტყის ფაქტიური საფარის) შემცირება 8%-ით ეკოლოგიურად უფრო ხელსაყრელი კლიმატური სცენარის შემთხვევაში (B2) და შემცირება 33%-ით ეკოლოგიურად ნაკლებად ხელსაყრელი სცენარის (A2) შემთხვევაში 2080 წლამდე. როგორც გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, დანაკარგები ყველაზე მეტი იქნება აზერბაიჯანში და სომხეთში და ოდნავ ნაკლები - საქართველოში.

ცხრილი 1 დანაკარგები შერჩეული IPCC სცენარების მიხედვით 2080 წლისთვის (WWF, 2011 წ.)

Forest Classes	Armenia		Azerbaijan		Georgia	
	B2A	A2A	B2A	A2A	B2A	A2A
	%	%	%	%	%	%
Dry woodlands	162.18	286.90	25.27	33.91	162.17	258.36
Betula_etc	-96.87	-99.27	-81.10	-95.34	-61.16	-77.87
Buxus			-100.00	-100.00	5.66	-25.35
Carpinus	-11.39	-100.00	-46.35	-96.15	9.10	-16.75
Castanea	-92.30	-100.00	-92.03	-98.86	13.87	-13.18
Fagus	-41.95	-100.00	-65.69	-96.66	10.16	-8.51
Parrotia	126.25	-100.00	-48.71	-95.10	23.39	-3.30
Picea_Abies	-3.29	-100.00	-57.39	-100.00	-23.72	-43.99
Pinus_pts					-55.56	-94.70
Quercus_Pinus	-15.84	-49.04	-50.09	-74.70	0.44	-3.80
Quer_casta	38.93	-100.00	-52.50	-94.77	15.36	-10.49
Quer_pedun	104.99	-100.00	-62.30	-98.45	40.62	-5.18
Taxus	-58.60	-100.00	-75.87	-98.54	8.72	-15.93
Zelkova			-79.78	-100.00	63.48	49.44
TOTAL	**-2.37**	**-52.08**	**-36.59**	**-62.08**	**9.81**	**-11.05**

Minus		Plus	
<20		<60	
20-40		60-120	
40-60		120-180	
60-80		180-240	
80-100		240-300	

6.2 მაგალითები სამხრეთ კავკასიაში: WWF -ის სატრანსფორმაციო უბნები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში

სამხრეთ კავკასიაში კლიმატის ზემოთ აღწერილი მოსალოდნელი მასშტაბების გათვალისწინებით, WWF-მა 2011 წ. 1 მარტს დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული შერბილების პროექტის განხორციელება. პროექტის მიზანია სამხრეთ კავკასიის ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისადმი და ბიომრავალფეროვნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო შემოსავლების გაზრდა.

ამ მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში დაიწყო საპილოტე უბნების ტრანსფორმაცია ექვსი მონოკულტურული/ არასტაბილური ტყის კორომიდან (თითო ქვეყანაში ორი) მაღალი მდგრადობის, „ბუნებასთან მიახლოებულ“ ტყის კორომებად როგორც ნიმუში სხვა სატრანსფორმაციო უბნებისთვის. დაიწყო არსებითი მოთხოვნების გაცნობიერებით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გათვალისწინებით:



ნახ. 14 WWF-ის საბაზისო მიდგომა კლიმატის ცვლილების ზემოქმედებაზე რეაგირებისადმი (PanForestal 2014 წ.)

ქვემოთ აღწერილი მაგალითები გვიქმნის ზოგად წარმოადგენას იმ ექვს ნაკვეთზე მიღებული გამოცდილების შესახებ, სადაც მუშაობდნენ WWF და მისი კონტრაქტორები. საპილოტე ნაკვეთების შესარჩევად WWF-მ შეიმუშავა შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც ქვემოთაა მოცემული:

ცხრილი 2 შერჩევის კრიტერიუმები სატრანსფორმაციო საპილოტე ნაკვეთებისთვის (WWF 2011 წ., შეფგენილია PanForestal-ის მიერ 2014 წ.)

შერჩევის კლიტერიუმები			
ბუნების კონსერვაცია - ბიომრავალფეროვნების ინდიკატორები ენდემური და /ან საფრთხის ქვეშ მყოფი ჯიშების სიხშირე - ფრაგმენტირებული ჰაბიტატების გამთლიანების მნიშვნელობა (ეკო-კორიდორი)	**სატყეო/ ეკოლოგიური** - ტყის საბურველი - ტყის კორომის მასშტაბები (საშუალო სიმაღლე და დიამეტრი) - ჰიდროლოგიური, ნიადაგის და საკვები ნივთიერებების მდგომარეობა -ბუნებრივი რეგენერაციის შესაძლებლობა - არგილისადმი ადაპტირებული სარგავი მასალის ხელმისაწვდომობა - ტყის კორომის დაცვითი ფუნქცია - დაცვა წყალდიდობისგან - წყალდამცავი ზონა - ეროზიისგან დაცვა - რისკ- ფაქტორები: მოვება/ ხანძარი	**სოციალურ- ეკონომიკური/ იურიდიული** - ადგილობრივი მოსახლეობის და ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერა და ინტერესი - სამუშაო პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის შესაძლებლობები - მანძილი სოფლებამდე - მნიშვნელოვა რეკრეაციისა და გარემოსდაცვითი განათლებისთვის - მიწათსარგებლობა - ტყიანი მიწის სტატუსი - ტყის ტრანსფორმაციის ღონისძიებების იურიდიული შეზღუდვები	**სხვა** - ღონისძიების მდგრადობა - მიწათმფლობელის მიერ ვალდებულების აღება - მაწათმფლობელის შესაძლებლობები - შემდგომი ფინანსირების შესაძლებლობა - ხილვადობა

6.2.1 საპილოტე ნაკვეთის მოწყობა

ტრანსფორმაციისა და ადაპტაციის ღონისძიებებისთვის შესაფერისი ნაკვეთების იდენტიფიცირების შემდეგ პროექტის პერსონალმა შემდეგი ნაბიჯები გადადგა სატრანსფორმაციო ნაკვეთებთან მიმართბაში:

6.2.2 მაგალითები განხორციელების ღონისძიებების გასატარებლად

ნოემბერიანის სატყეოს (FE) ტყეები მდებარეობს მცირე კავკასიონის მთიანი სისტემის გუგარაკის მთიანეთში, სომხეთის ჩრდილო-დასავლეთ ტყიან რეგიონში. ყველაზე მაღალი მთაა მე კანაჩ სარი, რომლის მწვერვალის სიმაღლეა 1 896 მ (მეც სრბასარი).
შერჩეული ნაკვეთები ამჟამად გამოიყენება ხე-ტყის საჭრელად, ხილისა და კენკრის შესაგროვებლად და თივის დასამზადებლად. ძოვება ხდება მხოლოდ ზოგიერთ რაიონში.
სანიმუშო ბუნებრივი ტყის ტიპი (ბუნებრივი- გეოგრაფიული ტყის მცენარეულობისა და ვერტიკალური ზონირების მიხედვით) საპილოტე ტერიტორიისთვის.
შერჩეული საპილოტე უბანი მიეკუთვნება ქვედა ტყიან ზონას, სადაც დომიონირებს მუხა- რცხილის შერეული კორომები.
შესაბამისი ხეებისა და ბუჩქების ჯიშები საპილოტე ნაკვეთებისთვის კოგბის სატყეო უბნის ტერიტორიაზე შემდეგია:

- ფიჭვი - Pinus silvestris L.
- მუხა - Quercus iberica stev.
- კაკალი - Juglans regia L.
- ნეკერჩხალი - Acer campestre L.
- იფანი - Fraxinus excelsior L
- ვაშლი - Malus orientalis Uglitzkich
- თელადუმა - Ulmus parvifolia Jacq.
- ჩვეულებრივი შინდი - Cornus mas L.
- კუნელი - Crataegus caucasica
- ასკილი - Rosa canina

საპილოტე ტერიტორია დაიყო რამდენიმე ქვე-ნაკვეთად (იხ. ნახ. 16) რათა შესაძლებელი ყოფილიყო ღონისძიებების დაგეგმვა. ყოველ ნაკვეთზე ჩატარდა მცენარეულის ინვენტარიზაცია (აქცენტი გაკეთდა ხემცენარეებზე) და მხედველობაში იქნა მიღებული რგვის სქემის განხორციელებისას. არ მომდარა ბუჩქების ან სხვა მცენარეების ამოღება.



ნახ. 16 დაგეგმილი ნაკვეთები ქვე-დანაყოფებით ნოემბერიანის ტერიტორიაზე - ტერიტორია, სადაც გატარდა ღონისძიებები, განსხვავებულია (WWF 2011 წ.)

ქვემოთ ნახაზზე ნაჩვენებია სამაგალითო რგვის სქემა, სადაც მთავარი ჯიშია Quercus iberica stev.ხოლო თანმდევი - Fraxinus Excelsior / Malus orientalis Uglitzkich.



ნახ. 17 რგვის სქემის მაგალითი ნოემბერიანის საპილოტე ნაკვეთისთვის (WWF 2011 წ.)

6.2.3 მიღებული გამოცდილება ქვეყნების მიხედვით

ტრენინგის ადგილის გათვალისწინებით, აქ ტრენერი ჩაუღრმავდება იმ ქვეყანაში მიღებულ გამოცდილებას, სადაც ფაქტიურად ტარდება ტრენინგი, ხოლო მეზობელ ქვეყნებში მიღებული გამოცდილება დარჩება აბსტრაქტულ დონეზე.
უმჯობესია რომ ერთ ნაკვეთზე გატარებული ღონისძიებები აღწეროს მათში ჩართულმა მეტყევემ და/ ან WWF-ის კოორდინატორმა იმ ქვეყანაში.

6.2.3.1 სომხეთის შემთხვევა

ნოემბერიანი: ბუნებრივი მიმდევრობის სტაბილიზაცია ადგილობრივი მხარდაჭერით
სპიტაკი: ტრანსფორმაცია ხეების გავრცელების საზღვარზე



ნახ. 18 საველე ვიზიტების შედეგები სომხეთის სატყეოსთვის (PanForestal 2014 წ.)

6.2.3.2 მაგალითი კავკასიაში: აზერბაიჯანი

ტყის არამერქნული პროდუქტები ადგილობრივი მოსახლებისთვის და მდინარის ნაპირების გამდიდრება





ნახ. 20 საველე ვიზიტების შედეგები საქართველოს სატყეოსთვის (PanForestal 2014 წ.)

6.3 რამდენად მდგრადია/ სტაბილურია კორომი?

ბოლო აბზაცში დავინახეთ, რომ კლიმატური სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში იცვლება. ამ აბზაცში მოყვანილია ამ ცვლილებების შედეგები ტყის ეკოსისტემებთან და მათ მართვასთან მიმართებაში. როგორც განხილულია სხვადასხვა ნაშრომებში და ნათქვამია UNPD -ის, WWF-ის და სხვათა პუბლიკაციებში სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში, კლიმატის ცვლილება აქამდე არნახული ტემპებით გამოიწვევს კლიმატური ზონების წანაცვლებას. კლიმატის წანაცვლებასთან ერთად მოხდება ტყეების სახეობრივი შემადგენლობის წანაცვლება ეკოლოგიური ნიშების შესაბამისად. ზოგიერთი სახეობა გადაშენდება, თუ მათი ნიშა ძალიან დაპატარავდება და არ იქნება კორიდორი ოპტიმალუტ ტერიტორიაზე მათი გადასვლისთვის. ქვემოთ მოცემული სქემა გვიჩვენებს კლიმატისა და ჯიშების ნიშების კავშირს :



ნახ. 21 კლიმატი და ჯიშების კვდომა (ალენი და სხვ. 2010 წ.)

ეს ნახაზი გვიჩვენებს, რომ თუ დაგეგმვის მიზანს წარმოადგენს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილება, დამგეგმავ ორგანოს უნდა გააჩნდეს ინფორმაცია არსებული მდგომარეობისა და ხის ჯიშების დანაწილების შესახებ.

6.4 ინვენტარიზაცია - როგორია მდგომარეობა და როგორია პერსპექტიცა

რამდენადაც საბჭოთა ეპოქაში არსებობდა ტყის ინვენტარიზაციის სისტემები - და ზოგ ქვეყანაში შემდგომაც - არსებობს ინფორმაცია ტყიანი ტერიტორიების შესახებ. თუმცა 1990-იანებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში უდიდესი სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნები მოხდა, რამაც, ნაწილობრივ, დიდი ზემოქმედება მოახდინა მათ ბუნებრივ რესურსებზე და ეს მონაცემები უმეტესად მოძველებულია.
იმდენად, რამდენადაც სამხრეთ კავკასიის ტყეები, ეკოლოგიური თვალსაზრისით, უმდიდრესი და იმავდროულად, ურთულესი ტყის ეკოსისტემებია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, მონაცემთა ასეთი ნაკლებობა ერთიერთ უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს მდგრადი მართვის საქმეში, რადგან ეს სისტემები საფრთხის ქვეშაა ჭარბი

ექსპლუატაციის გამო და ძნელია მათი ეკონომიკურად შეფასება; შესაბამისად, სატყეო ადმინისტრაცია ფინანსური საშუალებების ნაკლებობასაც განიცდის. ეს სამი გარემოება აუცილებლად განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ ტყის ინვენტარიზაციის სისტემამ:

- უნდა გაითვალისწინოს ბიომრავალფეროვნების სიმდიდრე;
- ასევე უნდა გაითვალისწინოს ადამიანის ზეწოლა, რომელიც მოქმედებს ტყეზე;
- უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული და ძალიან რენტაბელური მიდგომა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არსებობს ტყის ინვენტარიზაციის უამრავი კარგად ჩამოყალიბებული სისტემა, სამხრეთ კავკასიაში გამოსაყენებელი ინვენტარიზაციის სისტემა უნდა მიესადაგოს ზემოთ აღნიშნულ პუნქტებს და, დიდი ალბათობით, ქვეყნისთვის სპეციფიურ სხვა გარემოებებს. საქართველოში, ბორჯომის რაიონში ესესაა დაიწყო ერთი ნამდვილად სასარგებლო საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებშიც ავსტრიის სატყეო სამსახური ახორციელებს ადაპტაციური ინვენტარიზაციისა და მართვის სქემას.
თუმცა, რადგან ადაპტაციური ტყის მართვა საჭიროებს ინფორმაციას, თუ რისი ადაპტაცია უნდა მოხდეს, სასარგებლო იქნებოდა ცვლილებებისა და სტიქიური უბედურებების მუდმივი მონიტორინგის დაწყება ზემოთ აღნიშნული ინვენტარიზაციის ფარგლებს გარეთ.

ინტერაქტიური ნაწილი:
რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სტიქიური უდებურებების რენტაბელურ მონიტორინგს, რომ პროფესიონალმა მეტყევეებმა ადვილად განახორციელონ იგი და უზრუნველყოფილ იქნას რომ მათ მიერ შეტანილი მონაცემები შედარებადი და ადვილად გასაზიარებელი იყოს?
ვარიანტები:

- ინტერნეტით ხელმისაწვდომი
- მონაცემთა ბაზებში გადაცემადი
- გაფართოებადი (კატეგორიები, სახელები და ა.შ.)

6.5 კლიმატის ცვლილების შეტანა მართვის გეგმაში

ბუნებრივი რესურსების მართვის ადაპტაცია კლიმატის ცვლილებასთან ვერ მიიღწევა მხოლოდ ოპერატიულ/ კორომის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო გამიზნულია საშუალო და ქვედა დონეებისთვის, აშკარაა, რომ გარკვეული ცვლილებები საჭიროა უფრო მაღალ დონეებზეც. მოკლედ, ევროპულ კონტექსტში შემოთავაზებული იყო შემდეგი დაყოფა :

ა) პოლიტიკურ დონეზე (სამინისტრო):

[4] ადაპტაიური ინვენტარიზაციისა და ტყის მართვის გეგმის საკითხებზე დაუკავშირდით: ქ-ნ ქ. მეტრეველს (kattimet@yahoo.com) / ბ-ნ უინფრედ სუესს (winfried.suess@bundesforste.at), ჯგუფის ხელმძღვანელს, ტყეების ადაპტაციური მდგრადი მართვა ბორჯომის რაიონში

• ინვენტარიზაციის ისეთი სქემების შექმნა და განხორციელება, რომლებიც ასახავენ გარემოსდაცვითი და სოციალურ- ეკონომიკური ფაქტორების მიმდინარე ცვლილებებს (მაგ. მოსახლეობის განვითარება, საძოვრების არსებული/ არარსებული მართვა, ხე-ტყის უკანონო დამზადება და ა.შ.);

• ტყის ადაპტაციური მართვის (AFM) ზოგადი მიზნის დასახვა, მაგ.

i. "XY ტერიტორიაზე უნდა იყოს 32% ტყის საფარი, საიდანაც 10$% მკაცრი დაცვის ქვეშ უნდა იყოს, 30% უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის საჭიროებებს, 20% - პროფესიონალური ხე- ტყის დამზადებისთვის, უნდა მოხდეს 40%-ის ბუნებრივთან მიახლოებული რეგენერაცია"

ii. "გენეტიკური ცვალბადობა გარანტირებული უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი წარმოშობის მენეჯმენტით, თესლის შეგროვებისა და სანერგე მეურნეობის სტანდარტების საშუალებით";

• საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის ამაღლების უზრუნველყოფა კამპანიების ჩატარების გზით და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა არასამთავრობო ორგანიზაციებთან დიალოგის გზით.

ბ) ტყის ადმინისტრაცია:

• ადმინისტრაციის მიზნების ქმედითობა: მართვის ტერიტორიების რუქების შედგენა - მათზე მიზნების ვიზუალიზაცია - ჯიშების შერევის რაციონის დადგენა კომერციულ და დაცვის მიზნებში დაცულ ტყეებში;

• ინვენტარიზაციით მიღებული და ინფორმაციის ორგანიზება/ შეგროვება/ ანალიზი;

• ტყის მართვის გეგმის (10 წ.) შედგენა, კაცობრიობის განვითარების (მაგ. მოსახლეობის საჭიროებები / შეცვლილი პირობები ხის ჯიშების შესაფერისობასთან/ გავრცელების არეალთან მიმართებაში) გათვალისწინებით, მისი განხორციელების კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში - რევიზია;

• წარმოშობის მართვის კოორდინაცია სანერგე მეურნეობების აკრედიტაციის გზით (ან სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტებთან/ ბოტანიკურ ბაღებთან სანერგეების შექმნის გზით) - ახალი კორომების დარგვის/ კორომების აღდგენისას მშრალი ჰავისადმი უფრო მედეგი წარმოშობის [სახეობების] ინტეგრაცია;

• ღონისძიებებისა და რესურსების პრიორიტეტიზაცია და კოორდინაცია გეგმის/ ახალი გარემოებების (სტიქიური უბედურებების) შესაბამისად;

გ) მეტყევე/ კორომის მენეჯერი:

• მართვის გეგმების შესრულება და კონტროლი;

• უჩვეულო ცვლილებების მონიტორინგი (სტიქიური უბედურებები და ისეთი ღონისძიებების შედეგები, როგორიცაა დარგვა, შემოღობვა და ა.შ.) - ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციისთვის;

• თანამშრომლობა ადგილობრივ თემებთან - ბუნებრივი რესურსების მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება (მაგ. „უფრო

მშრალი ხდება თუ არა თქვენი საძოვრები“; „უფრო ხშირად ხდება თუ არა მეწყრები ვიდრე ადრე“; “შეგიმჩნევიათ თუ არა რომელიმე მცენარის გაქრობა /ან ახალი მცენარეების გაჩენა“ და ა.შ.) – რაც უფრო ყურადღებიანს გახდის მათ კლიმატის ცვლილების პირდაპირი/ არაპირდაპირი ზემოქმედებისადმი;

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია პროფესიონალი მეტყევეებისთვის საშუალო და ქვედა დონეზე. ქვემოთ მოყვანილი გადაწყვეტილების მიღების მატრიცა შექმნილია საშუალო დონის ტყის ადმინისტრაციისთვის, ფაქტიური ინვენტარიზაციის მონაცემთა ან კორომების შესახებ სხვა ინფორმაციის ინტერპრეტაციის პროცესისთვის, და იძლევა სამაგალითო ორიენტაციას შემდგომი დაგეგმვისთვის:



ნახ. 2 გადაწყვეტილების მიღების მატრიცა გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ტყის კორომებისთვის (PanForestal 2014 წ.)

ამ სქემიდან აშკარად ჩანს, რომ აქცენტი კეთდება ადამიანის ურთიერთქმედებაზე ბუნებრივ რესურსთან. ადამიანისა და ეკოლოგიის ასეთი ურთიერთმედების მართვა გადამწყვეტი ფაქტორია წარმატებისთვის ყოველ სისტემაში, სადაც შემოსავლების მიღება არ არის დამოკიდებული ამ ეკოლოგიურ რესურსებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებრივი რესურსების რენტაბელური მდგრადი მართვის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მართვის მიზნები შეთანხმებულია ხოლო შედეგებს აკონტროლებს იმ ტერიტორიის ადგილობრივი მოსახლეობა, სადაც ისინი მდებარეობს .

6.6 (ტრანს-)ფორმაცია მდგრად კორომებად

ქვემოთ მოცემული სქემა აღებულია მ. გარფორტის მიერ WWF -სთვის პროექტის დასაწყისში ჩატარებული თეორიული კვლევიდან. მასში შეჯამებულია მონოკულტურის მდგრად, შერეულ კორომად ტრანსფორმაციის ეტაპები.



ნახ. 22 კორომის ტრანსფორმაციის ეტაპები (PanForestal, ადაპტირებულია Garforth-დან 2012 წ.)

6.7 ალტერნატიული რესურსების შეთავაზება ადგილობრივი თემებისთვის

უნდა შეივსოს მონაწილეებისგან ინფორმაციის მოწოდების შემდეგ

7 რეკომენდაცია

უნდა შეივსოს მონაწილეებისგან ინფორმაციის მოწოდების შემდეგ

8 პერსპექტივა

ეს ტრენინგის დასკვნითი ნაწილია. მონაწილეებს ვასწავლეთ მათ ადგილობრივ რეგიონში მიმდინარე კლიმატური ცვლილებით გამოწვეული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეების იდენტიფიცირება. იგი უნდა ეხებოდეს ძალიან ზუსტ შემთხვევებს მათი ტყის მართვის არეალში.

9 დანართი - დასარიგებელი მასალა

9.1 საწყისი კითხვარი

თარიღი: ადგილი:

როდესაც ვფიქრობ კლიმატის ცვლილებაზე, მახსენდება: …. (გთხოვთ ჩამოთვალოთ სამი რამ, რაც თავში მოგდით, როდესაც გესმით კლიმატის ცვლილების შესახებ)

1. …

2. …

3. …

ყოველდღიური საქმიანობის განახლება
თქვენი ყოველდღიური სამუშაოს რა ნაწილზე შეიძლება მოახდინოს ზემოქმედება კლიმატის ცვლილებამ:

გთხოვთ ჩამოთვალოთ რამდენიმე ასპექტი

9.2 მაგალითი I – სტიქიური უბედურებები ტყეში გერმანიის ფედერალურ მხარე ბადენ-ვურტემბერგში

გერმანიის კონსტიტუცია ფედერალურ მხარეებს სუვერენულობას ანიჭებს სატყეო კანონმდებლობასთან მიმართებაში - რამდენადაც ისინი რჩებიან ფედერალური სატყეო აქტის ჩარჩოებში. ასე რომ ყოველ ფედერალურ შატს ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი მიწის სატყეო აქტი, რომელზე ორიენტირებულიც უნდა იყოს ტყის მესაკუთრეების მიერ მენეჯმენტი და სატყეო პოლიტიკა.

9.2.1 მაგალითის აღწერა. ბადენ-ვურტემბერგის სატყეო სექტორი 1980- 2000 წ.წ.

ამ მაგალითის განხილვაში აქცენტი გაკეთებულია ბადენ-ვერტემბერგის ფედერალურ მხარეზე, რომელმაც ძალიან პროგრესულად შეცვალა საკუთარი სატყეო პოლიტიკა ბოლო 25 წლის განმავლობაში.
1980 წელს გერმანიის სატყეო სექტორს სულ უფრო და უფრო მეტი უბედურება დაატყდა თავს. 1980-იან წლებში. მჟავა წვიმების შედეგად (რომლებიც გამოწვეული იყო ქვანახშირზე მომუშავე ელექტროსადგურებით, ინტენსიური მეცხოველეობის ფერმებით და ტრანსპორტით) მთელი გერმანიის მასშტაბით ბევრ მაღალმთიან ტყეში განვითარდა “Waldsterben” (კენწეროების ხმობა). მიუხედავად იმისა, რომ SO2-ით ჰაერის დაბინძურება შემცირდა ფილტრებისა და კატალიზატორების გამოყენების გზით, დებატები გაგრძელდა და წარმოიშვა ჰიპოთეტური საზოგადოებრივი აზრი სატყეო სექტორის წინააღმდეგ. იმავდროულად, დაეცა ხე-ტყის მასალის ფასი, რადგან ხე-ტყის ბაზარი სულ უფრო და უფრო მეტად დაექვემდებარა ინტერნაციონალიზაციას. 1990-იანები დაიწყო უძლიერესი ქარიშხლებით - სახელად “Vivian & Wiebke” - რაც კი ოდესმე განუცდია სექტორს. ქარიშხლიან წლებს მოჰყვა მწერების შემოსევა (უმეტესად Ips typographus), რომლებიც ადვილად ვრცელდებოდნენ დაზიანებულ მონოკულტურულ კორომებში. მოყვანილი ნახაზი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ:

- მიუხედავად იმისა, რომ ნაზვის წილი სულ რაღაც 45% შეადგენდა, მისი ქარქცეულის წილი გაცილებით მაღალი იყო (63%)
- ყველა დანარჩენი ხის ჯიში ტყის კორომებში მათ წილობრივ შემადგენლობაზე ნაკლებად იყო დაზიანებული.



Tree Species distribution before storms



Tree Species share of wind throw

ნახ. 23 მარცხნივ - ჯიშების დანაწილება ქარიშხლამდე - მარჯვნივ ხეების ჯიშების წილი ქარქცეულში (წყარო: MLR 2008, შედგენილია PanForestal-ის მიერ 2013 წ.)

ქვემოთ მოყვანილი ნახაზი გვიჩვენებს „შემთხვევითი ჭრის" (რაც სტიქიური უბედურებით გამოწვეულს ნიშნავს) წილს მთლიან ჭრაში 1980-იანი წლების დასაწყისიდან. წითელი ისრები აღნიშნავს უკიდურეს კლიმატურ მოვლენებს, როგორიცაა ქარიშხლები და სიცხის უჩვეულო ტალღა 2003 წ.



ნახ. 24 „შემთხვევითი ჭრის" წილი მთლიან ჭრაში (წყარო: დელბი და სხვ, 2013 წ., მოდიფიცირებული PanForestal-ის მიერ 2014 წ.)

ამ მაგალითის შეჯამება - ბადენ-ვერტემბერგის სატყეო სექტორი იდგა შემდეგი ფაქტორების წინაშე:

